

სამურნეო ურნალი

պատմութեան

(ଠେଣ୍ଡିଙ୍ଗପା ଏକ ପ୍ରଦର୍ଶନାଲୋ ପ୍ରତକଳାଙ୍କ)

უურნალის ფახი წელიწადში . . . 3 გან. || რედაქცია: კავკასიის სამეცნ. საზოგადოება
თითოევნომეტი ხელშე გასასყიდად . 10 კაპ. || პრეზი: თიფლის, ვარატინსკა, № 5.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

1910 ଫେଲୋଫାର୍ମ.—1 ଅକ୍ଟୋବର.—No 7.

三〇六四

ე. იოსელიანი	იონჭა და შირი შნიშვნელობა	3
გ. რცხილაძე	კირი და კოგირდი შაბამნის შაგირად	6
ი. ქუთათელაძე	ჩვენი ქვეყნის პარულების პარკი უცხოეთის ბაზარზე	6
6. ნახუცრიშვილი	საცდელი მინდვრის გამართვა და ხელოვნური სასუქე- ბის გამოცდა	11
გ. თაქთაქიშვილი	მონილია სოკო	13
გ. ცხალაძე	ება-ებარა	14

საყურადღებო კნობები:

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ । 16

ଓଡ଼ିଆ, ପ୍ରାଚୀନତା-ଶକ୍ତିରେଣୁଳାଙ୍ଗ ହିଁଦିଃ ଶକ୍ତିମଣି. କୁରତ. ଏମ୍ବ—ସ୍ଯା, 1910 ଫି.

სამეურნეო ეურნალი

გოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

წარსეულ წელს ეურნალში დაბეჭდია წერილები შემდეგი პირებისა:—
3. ავტონისა, 1. აფხაზ. ს. აგრიკოლაშვილი, გ. ახ. შვილისა, გ. ახ. ლამაძესი ლ. გოგნიევისა, გ.
გულბათიშვილისა, დ. გორგაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელევტონის, ზ. ერიონშვილის,
შ. ხავლიშვილისა, ა. თამაშევისა, ე. იოსელიანისა, დ. კარჩერისა, ე. კარბელაშვილისა, 3.
ლორთიფანიძესი, დ. მიგარიშვილისა, ს. მგალიბლიშვილისა. შ. მალანაშვილისა, 6. მაკარა-
შვილისა, გ. შეკედოშვილისა, შ. მამულაშვილისა, გ. ნაცურიშვილისა, ტ. 6., ი. პა-
ტაშვილისა, გ. რცხილაძესი, მ. სემიონვარისა, პროფ. ა. ფორცუნაცვილისა, გ. უ-ელისა,
ი. წინაშძლვრიშვილისა, ს. ხენდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, შ. ჯანაშვილისა, ი. ქორ-
ქაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქტორი მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადება:

რედაქტორი ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომ-
პეტენცია რედაქტორის საგალდებულოთა აქცეს თავისოფის მიღებული იქ იმედით, რომ
გარემოება იგი ერთის წერით გამბედიაბასა და სიმზღვადეს მისცემს შრომაში ყველა
იმათ, ვინც ქალაქ გარედ სტარებობენ და არ შეუძლიანთ რედაქტორისთან პირისპირ
შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს ერთი მისცემს ქარ-
თულს ენას მცნიერებითა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვი-
ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,
ჯაბაძა ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე გ.,
აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საურადლებლი.

ურნალის შემსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-
ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროცეს-
ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორის შეასწოროს და შეა-
მოვლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-
ინხებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი
შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო
ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-
ქნი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს ორი შაური.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთან შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თეს-
ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქტორის, ურნალის ხელისმომწერლებს გაუგ-
ზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი ფელიზადში ღირს 3 მანეთი.

რედაქტორის ადრესი: თიფლის, ბარათინსკაი, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილავა

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ვისაც უურნალის წლიური ფასი სრულად არ აქვთ შემოტანილი შემოიტანონ, რომ უურნალის შემდეგი ნომრები თავის დროზე გაეგზავნოთ.

იონჯა და მისი მნიშვნელობა

საქართველოს რომელ კუთხეშიაც გინდა კითხო სოფლელს მოსავალზე ასეთ პასუხს მიიღებთ უეჭველად: რა ვქნათ, შენი ჭირიმე, მიწა გამოიფიტა, ძალა აღარა აქვს, ვიწროობაა, საქონელი ველი მოტრიალებულა“ და სხვა.

სოფლის მეურნე ვერ შერიგებია თავის ვიწროობას, არა სჯერა რომ მეურნეობა-ში ვიწროობა აუცილებელი მოვლენა: ხალხი მატულობს მიწას კი არა ემატება-რა. შედეგად ამას ვიწროობა მოსდევს. ჩვენზე წინ სხვანი ჩავარდნენ ამგვარ ვიწროობაში. თუ კიდევ სადმე არის ისეთი ხალხი, რომელსაც ჯერ ფართო გასაწევ-გამოსაწევი აქვს, უეჭველია დღეს-ხვალ ამასაც ნებაუნებლივ ისტორია მიიყვანს მამულის სივიწროვემდინ. აუცილებელი სენი ხენა-თესვის სხვანირად მოწყობით და მამულის უკეთესი დამუშავებით უნდა გაქარწყლდეს. ეს გზაც აუცილებელია. ამ სწორეთ ამ გზას დადგნენ ისინი, რომელთაც ჩვენზე იღრე დაატყდათ თავზე მიწის სივიწროვე. მრავალი წლის გამოცდილებამ დაანახვა მათ რომ ერთი საშუალებათგანი მიწის სივიწროვის წინააღმდეგ ბრძოლისა ბალახის თესვა და მოყვანაა. ბალახი მარტო საქონელს არ აძლევს საკვებაგს, მიწასაც ანოყიერებს თავისი ფეხსვებით და ხორბლეულობის თესვაში საჭირო წესრიგიც შეაქვს. ეს წეს-რიგი იმაში მდგომარეობს

რომ ზოგ (პური და ქერი) მოსავალს შემოღომაზე ვთესავთ, ზოგს გაზაფხულზე და ორ წელიწადში ერთხელ ვასვენებთ მიწას. სასუქის მნიშვნელობა გვესმის, წინათაც ვიცოდით, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ჩვენი ცოდნავერ გამოგვიყენებია. უმიწობა და რაც მიწა გვაქვს იმისი მცირედი ნაყოფიერება გახდა მიზეზი საკვებავის უქონლობისა ჩვენთვისაც და ჩვენი საქონლისათვისაც. ეს გაჭირება სხვა ხალხებმაც გამოსცადეს, მაგრამ ამ გაჭირებიდან გამოსცლის ამსახსარიც მალე იპოვეს. ერთი სახსართაგანი ბალახის თესვა-მოყვანაა.

საქართველოში საქონლისათვის წინათ მარტო უგრძებელის თესვა იცოდნენ. ეხლა ასასაც თავი დაანებეს. მხოლოდ ქართლში და ჯავახეთში შეხვდებით აქე-იქ მის თესვას, თორემ სხვაგან აღარსად. შერია, ფეტვი, სელიც ძალზე შემცირდა, ასე რომ ანგარიშში ჩასაგდები არ არის. საზრდოთ ეხლა ხალხისათვისაც და საქონლისათვისაც მარტო პური, სიმინ-დი და ქერია. მარტო ამ პურის, ქერის და სიმინდის მორიგობით თესვაზე და მიწის დასვენებაზედ არის დამყარე: ბული ჩვენში ხორბლეულობის მოყვა-ნა. როგორც სხვა ხალხის გამოცდი-ლება გვიჩვენებს იძულებულნი ვირთ ჩვენც შევცვალოთ ხენა-თესვის წესი. საჭიროა ზემოაღნიშნულ მცენარეებს კიდევ სხვა ახალი მცენარე ჩაურიოთ.

ეს ჩარევა მეტ ნაყოფიერებას მისცმს მიწას, უფრო მეტს, ვიღრე ნაჩხატები*) მოიკრეფენ ამ ძალ-ლონებს თავისთავად. ხოლო იმ ახალ მცენარესთან ერთად, რომელიც უნდა შევიდეს მორიგეობით თესვაში, საჭიროა ვიცოდეთ რომელი ხორბლეულის შემდეგ რომელი უნდადაითესოს. ეს წეს-რიგი თესვისა უნდა ცდითა და დაკვირვებით იყოს გამოკვლეულ-განსაზღვრული წინადვე. ამაზე ცალკევგვექნება შემდგე ლაპარაკი, ხოლო ეხლა თვითის მცენარეები მინდა დავასახელო, რომელნიც უნდა ჩაერიცნენ დღემდე არსებულ ჩვენში მორიგეობით თესვაში. ეს მცენარეები გახლავთ ბალახები: სამყურა და იონჯა.

სამყურა უფრო გრილი ადგილის ბალახია, ძალიან უწყობს ხელს პურის მოსავალს, ძალიან ანოყივრებს მიწას თავის ფესვებით და თანაც მშვენიერ თივას იძლევა.

იონჯას უფრო სითბო უყვარს; პურის მოსავალს და მიწის გაღონ-ვრებას სამყურაზე მეტად შველის, თივას იძლევა მშვენიერს და მოსავლიანობით სამყურას სჯობნის.

რა გავლენა აქვს ბალახის თესვას პურის მოსავალზე და საქონელზე აი ამისი ერთი მაგალითი: „ამ ოცდა ხუთის წლის წინად—სწერია ერთ პატარა წიგნაკში—გოლოკალამის შაზრაში ყველა სოფლებს ერთად ჰყვანდათ შინაური მსხვილფეხი რქიანი საქონელი და ცხენი 33500 სული. მორიგ თესვაში მიწა სამ წელიწადში ერთხელ ისვენებდა და ერთდაიმავე მიწაში პური ორჯელ ითესებოდა. ორ დესეტინა დასვენებულ მიწას სასუქი მხოლოდ იმდენის

ეძლეოდა, რამდენსაც სამი სული საქონელი მოიცემოდა. ამგვარად არც სასუქი იყო საკმარისი, მიწაც უხეოროდ იხვნებოდა კავით (იმ მაზრაში გუთანი ჯერ არ იცოდნენს) და ყველა ამ მიხეზებისა გამო მოსავალი ერთდათესილ ფუთზე მხოლოდ ორი ფუთი მოდიოდა. პურს ზოგნი სვეტისცხოვლობიდანვე ყიდულობდნენ, შობამდე და ყველივრებამდე ხომ ცოტის ვისმე გასწვდებოდა ხოლო და სასყიდელი უხდებოდათ. 1867 წლიდამ დაწყობილი 26 წლის განმავლობაში სრული უმოსავლობა ხორბლისა მთელს მაზრაში და დამშევა ხალხისა მოხდა 15 ჯერ, გარდა ამისა მაზრის ზოგიერთ სოფლებში პურის უმოსავალობა იყო 5 ჯერ; ხალხი წამდაუწუმ სესხულობდა, საერობო თანხიდან ფულს პურის სასყიდლად; სოფლის ბედლები თითქმის სულ მუდამ ცარიელები ეყარნენ. 1871 წლიდამ 15 წლის განმავლებაში ხსენებულ მაზრის სოფლებს გაუტანიათ 527 სესხი, რაც 100 ათას მანეთზე მეტ თანხას შედგენდა.

მოსავალმა სულ სხვა პირი დაიკირა,— განაგრძობს ბ. ზუბრილინი — როცა გლეხები ბალახის თესვას შეუდგნენ და თანაც კავის მაგიერ ხვნაში გუთანი შემოიღესო. შეგროვილი ცნობებიდან სჩანს რომ 1905 წ. მსხვილფეხის ქიანი საქონელი და ცხენი ოცდა ცამეტი ათასის მაგიერად ორმოცდათორმეტი ათასი იყო მაზრაში; მოსავალიც ერთი ხუთად მოდის და არა ერთორად, როგორც წინათიყო; ვისაც მოუსავლობამ მიწაზე ხელი ააღმინა, ეხლა ხელ-ახლად დაუბრუნდა მიწას და იშეულს ხვნა-თესვაო.

ყველა მცენარე თავის შესაფერ ნია. დაგს თხოულობს. იონჯას, მაგალითად,

„ნაჩხატი“ არის დასასვენებლად დარჩენილი მოუხნავი ნაყანობი ან ნაქერალი.

ლრმა ღონიერი ნიადაგი უყვარს, ფესვები მცენარისა ლრმად მიღან და სარჩდოს უფრო ქვემოდან იღებენ ვინემ ზემოდან, თუმცა ნიადაგის ქვეშითი პირიც არ უნდა იყოს თხა. თხა წვიმის წყალს აგუბებს, და მცენარეს ფესვებს ულორწოვებს ულპობს. ხოლო თუ ნიადაგს ნესტი ზომიერად აქვს, იონჯა შვიდჯერარებაზე ითიბება წელიწადში. მიწა იონჯისათვის ლრმად უნდა იყოს მოხული, თუმცა იმერეთში, საცა უკანასკნელ დროს ყოინდარის მაგივრად იონჯას სთხისავენ, მიწას კავითა ხნამენ. ლრმად მოხენასთან მიწა კარგად უნდა იყოს შემუშავებული. გარეშე ბალახი რომ არ მოეროოს უმჯობესია მიწა შემოდგომითვე მოიხნას, გაზაფხულის პირზე ხელახლად გადიხნას, დაიფარცხოს და მერქი ისე დაითხისოს იონჯა თესლი უნდა კარგად იყოს დარკვეული, სხვა ბალახების თესლი არ უნდა ერიოს. იონჯის კარგ თესლად ითვლება ფრანგული იონჯის თესლი, რომელიც ფუთი ტფალისში 16 მანეთად იყიდება.

ითხესბა იონჯა იმ დროს როცა მიწას სისველე ჯერ არა აქვს გამოლეული. გვალვა ძალიან აფერხებს იონჯის ზრდას, მეტადრე პირველად, როცა ფესვები ჯერ გაშლილ-გალონივრებული არა აქვს მცენარეს. საცა აპრილში და მაისში გვალვა ხშირად იცის, იონჯა--დათე-სილ ნახნავზე შეიძლება შვრია ან ქერი დაითხის. ეს უკანასკნელნი ადრე იზრდებიან, უჩრდილებენ იონჯას და ამ ნარიად გოლვისაგან იფარავენ. შემდეგში კი როცა იონჯა გაიმაგრებს ფესვს, გვალვისა აღარ ეშინან, შვრია და ქერი გაითიბება და მარტო იონჯა რჩება. სარწყავში იონჯა უფრო მო-სავლიანია, ვინემ ურწყავში; დღიურს,

რომ სავსებით დაითხესოს იონჯით, ერთ ფუთამდე თესლი უნდა. თესლი და-თესამდე უნდა შემოწმდეს, ამოსვლის ძალა არ ქონდეს დაკარგული. იონ-ჯის თესლი წვრილი თესლია და თუ ლრმად დაითხის, ვერ ამოვა, ნათესი მიწაშივე ამოიხრჩობა. ამიტომ თესლი ზემოდან მიწა ძალიან თხლად უნდა ჰქონდეს გადაფენილი. იონჯის დათე-სის წინ უმჯობესი იქნება ნახნავი კვლე-ბად დაიყოს. სიგანე კვალს რამდენ-ზედაც ერთი მკლავი გასწვდება ის ეყოფა. თუ თბილი ამინდი დაუდგა, მცენარე 8—10 დღეზე ამოიხეთქავს. იონჯა კარგად შემუშავებულ ნოყიერ მიწაზე პირველსავე წელს გაითიბება, ხოლო ნამდვილი მოსავალი იონჯისა აიღება მესამე--მეოთხე წელს. ქართლ-ში იონჯის გათიბა შეიძლება მთელ ზაფხულს განმავლობაში სამჯერ, კა-ხეთში, თელავის მაზრაში—ოთხჯერ, გურია-სამეგრელოში და იმერეთში—ხუთჯერ-ექვსჯერ. შუათანა მოსავა-ლი იონჯისა დესეტინაზე ოთხს ფუთ თვეს იძლევა. ბუნებრივი ჩვენი სა-თიბები კი ეხლა ას ფუთსაც აღარ იძ-ლევიან, გინდაც რომ ამინდი ხელს უწყობდეს. უხვი საკვებავი საქონლი-სათვის, რომელსაც იძლევა იონჯა, მი-წის განოყრება და ხორბლეულობის მოხველის გორკეეცება, რომელიც იონჯის თესვას მოსდევს შედევად, აშ-კარად დაანახვებენ მეურნეს იმ სარგე-ბლობას, რაც ამ ბალახს შესძლებია. გათიბა იონჯას უნდა, სანამ ყვავილში ჩავარდება მცენარე; დაპურებამდე და-ტოვება თივრს გაფუჭება იქნება, რადგან მთელი სინკოვრე მცენარისა მარცვალ ში გადავა და ყლორტ-ფოთოლი გახევ-დება.

გ. იოსელიანი

პირი და გოგირდი შაბიაშვილის მაგივრად

ამერიკელებს უცდით და დარწმუნებით იტყობინებიან რომ შაბიაშვილის მაგიერ შეიძლება კირში შეზავებული გოგირდი ვიხმაროთ ნაცრის წინა-აღმდეგაც და ობის (მილდიუს) წინააღმდეგაც.

ეს წამალი გაცილებით იაფიც ჯდება და დრო და მუშაც ერთოორად ნაკლები უნდება, რადგან ნაცარსაც და ობსაც ერთად ეწამლება.

ზედმეტი ღირსება ამ წამლისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვილ ფოთოლს მცენარისას, რაც გინდ ნაზი იყოს, წამალი არა სწვავს.

წამალი შესდგება:

გოგირდი.....	10	გირ.
წყალდაუსხმელი კირი ..	11	"
წყალი.....	18 ^{1/2}	ვედ.

შეზავება ასე უნდა: თიხის ან ხის ჭურჭელში ჩაჰკრით კირს და ნელ-ნელა დაუწყებთ განელებას წყლით. კირს უნდა ურიოთ და როცა ძან გაცხელ-დება, გოგირდი მოუკიდეთ ცოტ-ცოტაობით ისე, როგორც ადუდებულ ბადაგს ფქვილს ვუკიდებთ სათათარეთ. როცა მთელ გოგირდს შეალევთ, დანარჩენ წყალსაც დაასხამთ და წამალი მზად იქნება.

სასურველია როგორც ეს წამალი— მონოსულფიტი, ისე პოლისულფიტი*) სცადონ ჩვენმა მეცენახეებმა პატარა კორომ ადგილზე და შედეგი თავიანთი დაკვირვებისა და ცდისა შეგვატყობინონ უურნალში დასაბეჭდათ.

ვ. რცხილაძე

ჩვენი კვეუნის პარეუშის პარვი უცხოეთის გაზარჩევ

(წმინდი მარსელიდან*)

მეაბრეშუმეობის გავრცელებას ჩვენში უმთავრესად ხელს უწყობს ის გარამებაც, რომ პარკის მოსავლის გასაღება შესამჩნევად გაადვილდა, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთის ბაზარზე. ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ სოფლებში მოყვანილ პარკს, მაგალითად იმერეთსა და გურია-სამეგრელოში, ეპროპის ბაზარზე კარგი სახელი აქვს და

*) ამ წერილით ვუპასუხებ იმათაც, ვინც ეს შემომეკითხნენ და თავის დროზე ვერ მივაწვდინე მათვის საინტერესო ცნობები, რა დაგან მე სულ მოგზაურობაში ვარ და ჩემ სახელზე გამოგზავნილ წერილებს დროზე ვერ ვიღებ.

მარსელი, 8 მარტი. ი. ქუთათელაძე.

გასაღება შუშა-ნუხის პარკთან შედარებით უზრუნველყოფილია. მსოფლიო ბაზარზე საქართველოში მოყვანილ პარკს საკუთარი სახელი აქვს. მარსელისა და მილანში დასავლეთ საქართველოში დამუშავებული პარკი კავკასიის სხვა რაიონების პარკიდან გასარჩევად ბირჟაზე აღინიშნება: „Caucase-Koutais“ ანუ „კავკაზ-ქუთაისის“ სახელით და შუშა-ნუხის და ბუხარის პარკთან შედარებით შეტყიშებული იყიდება. მსოფლიო ბაზარზე ბუხარის და შუშა-ნუხის პარკს ფრანგ-იტალიელი მექანისენ უფრო ნაკლებად ეტანება,

*) იხ. „ახალი წამალი მილდიუსა და ნაცრის წინააღმდეგ“ ა. როლოვი., მოსავალი № 3, 1909 წ.

რაღაც გარდა ბუნებით მცირედი ღირ-
სებისა დამუშავებულიც ვერ არის კარ-
გად, ცალ-ცალკე ხარისხებად არაა
გადარჩეული. მყიდველი დარწმუნებუ-
ლი არ არის რომ ერთი ტომრიდან
აღებული რომელიმე ხარისხის პარკი
ნიმუშად ემზავსება სხვა ტომრების
იგივე ხარისხის პარკს მთელს პარ-
ტიაში. ხშირად ერთი და იგივე ხა-
რისხის პარკს ერთი ნიმუში სჯობნის
შეორეს, ან უფრო ნაკლებია ერთ და
იგივე პარტიაში და სხვა. ოუმცა რაც
შეეხება პარკის რიგიან გამოხმობა-გა-
დარჩევას ამ მხრივ გურია-სამეგრელოს
სოფლებში დამუშავებული პარკიც კი
შესამჩნევად კოჭლობს, განსაკუთრებით
სამეგრელოსი. სამწუხაროა, როცა იტით
რომ ზოგიერთი მეპარკე ვაჭარი გან-
ძრას არ უწყობს ხელს პარკის რიგიან
გამოხმობა-დამუშავებას!

პარკიც და ძაფიც დიდი სინესტის
ამლებნი არიან. რაც უნდა მშრალი და
მზიანი დღე იყოს, ერთ ფუთ ძაფში
უსათუოდ ოთხი გირვანქა წყალი იქ-
ნება, და თუ წვიმიანი ან ნისლიანი
დღეა, მაშინ ხომ ათ გირვანქაზე მეტიც.
აღებ-მიცემობაში პარკის ნამდვილ წო-
ნათ მიიღება ის წონა, რომელიც აქვს
პარკს როცა სამი ფუთი ნედლი პარ-
კი გამოხმობის შემდეგ ერთ ფუთზე
დავა. 300 ფუთი ნედლი პარკი ივნი-
სში ნასილი ორი ან სამი თვის შემ-
დეგ 100 ფუთზე მეტს აღარ უნდა იწო-
ნიდეს. ზოგ სოფლებში პარკის ფარ-
დულები დახურულ-დაბურულია გან-
გებ, პარკი თაროებზე გროვა-გროვა
აქვთ დაყრილი რომ ნიავ-ქარმა არ
იმუშაოს და პარკი ძალზე არ გამოხ-
მესო. ასეთი პარკი სამი ფუთიდან ერ-
თი ფუთი კი არა, ერთი ფუთი და სამი
ოთხი გირვანქა გამოდის და ყოველ

ას ფუთ პარკზე 7—8 ფუთი წყალია.
ხშირად ზოგი მეპარკე ამასაც არა სჯე-
რდება და ტომრებში ქვებს აყოლებს,
რომ წონაში მეტი მოვიდეს. თუ ადგი-
ლობრივ გაიყიდა ეს პარკი ჰო. გამყი-
დავმა წაწყმინდა სული, მაგრამ მოგებუ-
ლი მაინც დარჩა (თუმცა მყიდველ-ექს-
პორტიორმა ბერძენ-სომეხმა კარგათ
იცის ეს ამბავი და სამაგიეროდ ნაკლებ
ფასებში ყიდულობს). ხოლო თუ გამ-
ყიდავი იძულებული შეიქმნა და უცხო-
ეთში მოუხდა გაგზავნა პარკისა, მაშინ
უცხოელსაკომისიო კანტონები ამ წყა-
ლსა და ქვებს, ზოგჯერ 30—40
ფუთს, ანგარიშში უწერენ, ხშირად
ქვებს უკანვე უბრუნებენ და სენაკი-
დან მარსელ-მილანამდე გადატან-გად-
მოტანის ფასის გადახდა სჭირდებათ
ჩვენს ბიძიებს. განადასაჯერებელია რომ
შარშანდელ უდაბნოსებურ პაპანაქება-
გვალვაში პარკი კარგათ არ გამომხმა-
რიყო! მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ზე-
მოხსენებულ ზოგიერთ სოფლების პარ-
კი წელსაც სველი აღმოჩნდა. ცველა ამ
ბოროტ-მიქედებას ჩვენ აქ არ მოვიყვა-
ნდით, რაღაც ამაზე არა ერთხელ მიგვი-
კცევია ადგილობრივ მწარმოებელთა და
მეპარკე ვაჭართა ყურადღება, მაგრამ
რა ვქნათ როცა ჩვენ თვითონ ყუველ
დღე ჩაგრინინებს უცხოელი პარკის
მყიდველი-მექარხნე „ქუთათური პარ-
კი კარგია, მხოლოდ მეპარკ-ვაჭრები ბო-
როტებას ჩადიანო და სხვა.“ ამ შემ-
თვევაში იმათ დიდი იმედი აქვთ ჩვე-
ნებურ სამეურნეო ამხანაგობა-საზო-
გადოებისა და სხვა სპეციალურ დაწე-
სებულება-ორგანიზაციებისა. იმათი აზ-
რით ჩვენებური სახოგადო სამეურნეო
ორგანიზაციების და სპეციალურ დაწე-
სებულებათა შეერთებული ძალით უნდა
მოწესრიგდეს როგორ პარკის ისე მეა-



ბრეშუმეობის მთელი მრეწველობა-წარმოების საქმე.

წარსული წლის მეაბრეშუმეობის კამპანია წინა წლებთან შედარებით არ იყო ჩვენში რიგიანი. ცუდი ამინდისა და თესლის უვარებისობისა გამო პარკი ცოტა იყო, მაგრამ ნედლ პარკს სამაგიეროდ კარგი ფასი ჰქონდა. მთელ ამიერ კავკასიის 1909 წლის ჭიათურაში გამოყვანილი იქმნა 294,000 კოლოფი თესლი, მეტი წინა 1908 წლითან შედარებით 102,000 კოლოფით. მოყვანილი თესლიდან გამოვიდა პარკის მოსავალი 300,000 ფუთი, ანუ მისხალზე $6\frac{1}{2}$ გირვანქა ნედლი პარკი. ამ თესლისა და პარკის მოსავალი ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებზე ასე ნაწილდება: ერევნის მხარეს (ნახიხვანი-აკულისი და ორდუბათი) გამოყვანილი იყო 12,000 კოლოფი ან 72,000 მისხალი თესლი, რასაც გამოვიდა 15,000 ფუთი პარკი ანუ მისხალზე $8\frac{1}{2}$ გირვანქა; განჯის მხარეს (ნუხა-შუშა, აღდაში და სხვა) 129,000 კოლოფი ან 774,000 მისხალი, საიდანაც მიიღეს 124,000 ფუთი პარკი ანუ მისხალზე 6 გირვანქა; ბაქოს მხარეს (გოქჩა--შემახა და სხვა) — 35,000 კოლ.—210,000 მის.—36,000 ფუთი ანუ ერთ მისხალზე 7 გირვანქა პარკი. კხეთი, ზაქათალა და საინგილოში 13,000 კოლ.—78,000 მისხ.—15,000 ფუთი ანუ ერთ მისხალზე $7\frac{1}{2}$ გირვანქა. იმერეთის მხარეს (იმერეთი, გურია-სამეგრელო) — 84,000 კოლ. ან 504,000 მისხალი—110,000 ფუთი ანუ ერთ მისხალზე $8\frac{1}{2}$ გირვანქა.

გურია-სამეგრელოსა და იმერეთისათვის $8\frac{1}{2}$ გირვანქა მოსავალი მისხალზე მცირე მოსავლად უნდა ჩაითვალოს, რაღაც შუათანა გამოსავალი

აქ არის ხოლმე 10—11 გირვანქა. თუმცა სხვა ქვეყნების გამოსავალთან 11 გირვანქაც ცოტაა. საფრანგეთში მაგალითად შარშან ერთ მისხალ თესლზე გამოვიდა 19 გირვანქა პარკი (183,181 კოლ. თესლიდან 8,546,526 კილო* ნედლი პარკი); ასმალოს მხარეს ბრუსსაში— $16\frac{1}{2}$ —17 გირვანქა (168,076 კოლოფით თესლიდან 7,548,061 კილო); სპარსეთში კი მოვიდა მისხალზე $5\frac{1}{2}$ გირვანქა ნედლი პარკი. ხოლო ფასების მხრივ უფრო ცოტა განსხვავებაა. შარშან იმერეთ-გურია-სამეგრელოში პარკის ბაზრის გახსნისათანავე ზოგიერთი მსხვილი მეპარკე-ექსპარტიორი ცდილობდა ნედლი პარკის ფასი 11 მან. და 40 კაპეკზე ზევით არ აწერულიყო, მაგრამ როცა ეს არ მოხერხდა, ყიდვა შესწყვიტეს. ნახევარი პარკობა რომ გათავდა, ე. ი. შუა სეზონზში, პარკის ფასი 14 მან. 50 კაპიკამდე ავიდა უმთავრეს ბაზრებზე ხონსა და ქუთაისში. ამ დროს მოუსწრო მარსელ-მილანიდან ცნობამ, რომ პარკის (ნედლის) ფასშა აიწია და შესაძლოა ნედლ პარკს კარგი ფასი დაედისო, განსაკუთრებით ყვითელ პარკ!.. ამის შემდეგ გამწარებული მეპარკე-ექსპარტიორები ხელისხმა გამოვიდნენ ბაზარზე და დაიწყეს მწრაფლად ყიდვა. ფასმაც 15—16 მანეთამდე აიწია. ზოგან (ხონში) 17 მანეთიც მისცეს ფუთში. მაგრამ დახე იღბალს! პარკი მაღე გამოილია და „მწუნიას აკლდებოდეს“ სწორედ ისე დაემართათ ჩვენს მსხვილ მეპარკეებს, რომლებმაც პარკიც შედარებით დიდ ფასებში იყადეს და ნაკლები ღირსებისაც, ნაბოლოვარა ჭიის გაკეთებული.

*) კილო $21\frac{1}{2}$ გირვანქაა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ზაფხული მეტად გვალვიანი დადგა, პარკი აღრე გამოხმა (გარდა სამეგრელოს მებარეშუმე სოფლების ზოგიერთ მე-პარკე ვაჭრის პარკისა) და წინა წლებ-შე ორი-სამი კვირით უფრო აღრე იყო წასალებად მზად, მაგრამ ჩვეულებრივ პარკის მყიდველი არსად სჩანდა. როცა ხმელი პარკის გასაღების დრომ ვანვლო, გამოირკვა რომ მსხვილ-ვაჭარებსპარტიორები და უცხოეთის საკომისიო-კონტიორების აგენტები ამ გარამოებამ ცოტა შეაფუცხუნ-შეაფიქრიანა და ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ გამოაცხადეს 42 მანეთი ფუთი ხმელი პარკის ფასი. ამდროს უცხოეთიდან ჩამოვიდა კიდევ ერთი პარკის მყიდველი, რომელმაც მოუმატა ფასს და კაი ძალი პარკიც იყიდა. ამნაირად ხმელი პარკის ფასი წელს 44—50 მანეთამდე ავიდა ადგილობრივ ბაზარზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 300,000 ფუთი ნედლი პარკი მოვიდა ამიერ კავკასიაში, ანუ 100,000 ფუთი ხმელი პარკი. აქედან 70,000 ფუთი დარჩა ადგილობრივად ნუბა-შუშის და ნახერევან-ორდუბათის ძაფის ამოსახვევ 7 ქარხანის საჭიროებისათვის და 30,000 ფუთი კი გავიდა უცხოეთში მარსელსა და მილანის ბაზარზე. გატანილი პარკის $\frac{9}{10}$ ეკუთვნის გურია-სამეგრელოს და იმერეთის მეპარკე ვაჭრებს-ექსპორტიორებს, რომელთა რიცხვებში ურევია ბევრი წვრილი მეპარკე-მწარმოებელი, რომელიც ასი ფუთის და უფრო ნაკლების პატრონია. ამნაირად ამ უკანასკნელ წლებში სამეურნეო ამხანაგობათა წახალი-სება-მიბაძვით თუ სხვა მიზეზით პარკის აღებ-მიმცემისა ჩვენში ძლიერ დაწერილობანდა, გადემოკრატდა. პარკის ექსპორტი დაიწყო წვრილ-ვაჭარ-მწარმოებელმაც. მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა თავისი საქონლით და საკუთარი წულითა და ჩოხით. ზოგ მათ-

საზოგადოდ შემოღებულია ხმელ პარკში ბეთ მიეცემა არსებული ფასის $\frac{9}{10}$, ე. ი. თუ ფასი 50 მანეთია ბეთ იძღვიან 45—46 მანეთს. ზოგ წვრილ-მეპარკეს

ნაკლებად ულირს პარკი და აღებული ბეი ხარჯებსაც ჰფარავს და 2—3 მანეთი მოგებაც აჩება. ხელშეორედ და-დასტურეს დადგენილება და შეუდგნენ პარკის უცხოეთში გაგზავნის მოწყობას. მსხვილ-ექსპორტიორები და უცხოეთის საკომისიო-კონტიორების აგენტები ამ გარამოებამ ცოტა შეაფუცხუნ-შეაფიქრიანა და ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ გამოაცხადეს 42 მანეთი ფუთი ხმელი პარკის ფასი. ამდროს უცხოეთიდან ჩამოვიდა კიდევ ერთი პარკის მყიდველი, რომელმაც მოუმატა ფასს და კაი ძალი პარკიც იყიდა. ამნაირად ხმელი პარკის ფასი წელს 44—50 მანეთამდე ავიდა ადგილობრივ ბაზარზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 300,000 ფუთი ნედლი პარკი მოვიდა ამიერ კავკასიაში, ანუ 100,000 ფუთი ხმელი პარკი. აქედან 70,000 ფუთი დარჩა ადგილობრივად ნუბა-შუშის და ნახერევან-ორდუბათის ძაფის ამოსახვევ 7 ქარხანის საჭიროებისათვის და 30,000 ფუთი კი გავიდა უცხოეთში მარსელსა და მილანის ბაზარზე. გატანილი პარკის $\frac{9}{10}$ ეკუთვნის გურია-სამეგრელოს და იმერეთის მეპარკე ვაჭრებს-ექსპორტიორებს, რომელთა რიცხვებში ურევია ბევრი წვრილი მეპარკე-მწარმოებელი, რომელიც ასი ფუთის და უფრო ნაკლების პატრონია. ამნაირად ამ უკანასკნელ წლებში სამეურნეო ამხანაგობათა წახალი-სება-მიბაძვით თუ სხვა მიზეზით პარკის აღებ-მიმცემისა ჩვენში ძლიერ დაწერილობანდა, გადემოკრატდა. პარკის ექსპორტი დაიწყო წვრილ-ვაჭარ-მწარმოებელმაც. მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა თავისი საქონლით და საკუთარი წულითა და ჩოხით. ზოგ მათ-



განს რუსულ-ფრანგულათ კი არა ქართულათაც ვერ მოუხერხებიათ ტომ-რებზე რიცხვების აღნიშვნა და ნახშირით დაუსვამთ რალაც ჯვარედინები! ზოგინი იმისთვის მიყრუებული სოფლებიდან არიან, რომ წერილსაც ვერ მიაწვდი კაცი, რომ აცნობო ბაზრის ფასების-მდგომარეობა. უფრო კულტურულ მიწერ-მოწერაზე ტელეგრამებით ხომ არა გვეთქმის რა. გურია-სამეგრელოს მივარდნილი სოფლები კი არა საქართველოს მანჩქირერი-ლიონი—ხონი—არსებობს საღმე თუ არა, ესეც კი არ იცის აქ საფრანგეთ-იტალიის ფლატა-ტელეგრაფის დაწესებულებამ. არაფერი პატიოსნებაა ბატონი სწორედ მაგი ფრანგ-იტალიელ ფოშტის მხრივ! ხონის ახლო მახლო სოფლებიდან წელს უკანასკნელი 100,000 კილო ხმელი პარკი წევიდა მარსელში და მილანში, ბევრი ჩვენი ვაჭრის შვილი ხონის გიმნაზიაში კურს დამთავრებული მიდის უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ მაინც არა გვეველა რა. ვაკრები გაწვალებული არიან რომ „პერევოდებს“ ტელეგრამით ვერ უგზავნის ჩვენი ბანკი კრედიტისნეს. თუმცა პარკის აღებ-მიცემობის „გადემოკრატება“ და მსოფლიო ბაზარზე წვრილი-ვაჭ-მწარმოებლის გამოსვლა სასიხარულოა და სასარგებლო, მაგრამ აუცილებლად საჭიროა რომ ეს ახალი ექსპერტორები უფრო მეტის უგრადებით ეკიდებოდნენ პარკის გამოხმობა-გადარჩევის საქმეს; ერთმანეთზე გავლენა უნდა იქონიონ, რომ რაიმე ბოროტ-მოქმედებით მთელი რაიონის პარკს სახელი არ გაუტყვდეს. პარკის აღებ-მიცემობა სრულიად განსაკუთრებულ მრეწველობას წარმოადგენს და

მყიდველ-გამყიდველისაგან უფრო განსაკუთრებულ გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე სპიჩა-შაქარის და შავიქვა-სიმინდის ყიდვა-გაყიდვას უნდა! ავილოთ თუნდა ის რომ არცერთმა ჩვენგმნმა არ იცის თავის პარკის არც წონა და არც მისი თვისება (ძაფის გამოსვლის რაოდენობა). ვყიდულობთ და ვყიდით ალალბედათ! გვატყუილებენ — ვატყუებო!.. აი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება! განა ჩვენს „ახალს ექსპორტიორებს“ შარშან არჩევინებდნენ, პარკი კარგათ გამოახმე-გადაარჩიეთო! მაგრამ აი ანალიზია როგორი გადარჩეული გამოდგა ერთი, სხვაზე უფრო გამოცდილი ექსპარტიორის კარგი შედარებით და დიდი პარტიის პარკი: 70 ტომრის პირველი ხარისხის პარკიდან ერთ შემთხვევაში ერთი კილო ძაფი ამოვვიდა 3,5917 კ. პარკიდან, ე. ი. დაახლოებით ერთ გირვანქა ძაფს მოუნდა $3\frac{1}{2}$ გირვანქაზე ცოტა მეტი პარკი; მეორე შემთხვევაში იმავე პარტიის 50 ტომრის I ხარისხის პარკიდან ერთი კილო ძაფი გამოვიდა 3, 7445 კილოდან, ე. ი. უფრო მეტი პარკი მოუნდა; ან და: 50 ტომრის II ხარისხის პარკიდან პირველ შემთხვევაში ავიდა ერთი კილო ძაფი 3,9566 კ. პარკიდან; მეორე შემთხვევაში 25 ტომრის II ხარისხის პარკიდან 4,3482 და სხვა.

რიგიანათ გადარჩეული მხოლოდ ნაწილი იყომთელი პარტიისა და დანარჩენში კი ერთი II ხარისხში მესამე, მეოთხე და და მეხუთე ხარისხის პარკი! თითქმის ყველა ექსპორტიორის პარკს დააკლდა წონაში! ზემოხსენებულ რაიონების პარკს 5—7 ფუთი დააკლდა 100 ფუთზე. ბევრმა ფასებსაც ვერ შეუჩია

დღო და ანგარიშიანობას (ეპეკულაცია) | ლევიდან მარტის 3-მდე იყო მარსელ-
გამოცდა. მაგალითად ნოემბრის დამ- | მილანის ბაზარზე შემდეგი ფასები:

ქუთაისის პარკი იყო მარსელში—მილანში—ნუხა-შუშის ყაჭის ძაფი.

3	დეკემბერს	9 ფრ.	10 სან.	—8 ფ.	90 სან.	—9 ფ.	25 სან.	—9 ფ.	10 სან.	—8 ფ.	20 სან.
14	"	9 ფრ.	10 სან.	—8 ფ.	90 სან.	—9 ფ.	25 სან.	—9 ფ.	10 სან.	—"	"
22	" იმატა	9 ფრ.	9 სან.	—9 ფ.	25 სან.	—9 ფ.	35 სან.	—9 ფ.	40 სან.	—"	"
1	იანვ. ივნივე	"	"	"	"	"	"	"	"	"	"
7	" დაიწია	9 ფრ.	15 სან.	—9 ფ.	" სან.	—9 ფ.	10 სან.	—9 ფ.	25 სან.	—"	"
14	"	9 ფრ.	10 სან.	—8 ფ.	90 სან.	—9 ფ.	" სან.	—9 ფ.	15 სან.	—"	"
21-22	"	8 ფრ.	90 სან.	—8 ფ.	15 სან.	—8 ფ.	90 სან.	—9 ფ.	" 8ფ.	25ს.	—8ფ. 30ს.
29	"	8 ფრ.	85 სან.	—8 ფ.	60 სან.	—8 ფ.	85 სან.	—9 ფ.	90 სან.	—"	"
4	თებერვალს	8 ფრ.	85 სან.	—8 ფ.	60 სან.	—8 ფ.	85 სან.	—8 ფ.	90 სან.	—"	"
7	"	"	"	"	"	"	"	"	"	"	"
14	"	"	"	"	"	"	"	"	"	"	"
22	" აიწია	9 ფრ.	10 სან.	—8 ფ.	80 სან.	—9 ფ.	10 სან.	—9 ფ.	25 სან.	—"	"
3	მარტს	"	9 ფრ.	20 სან.	—9 ფ.	" სან.	—9 ფ.	" სან.	—9 ფ.	40 სან.	—"

(გაგრძელება იქნება)

o. ქრთათელაძე

საცდელი მინდვრის გამართვა და ჩაღოვნები სასუქების გამოცდა

(გაგრძელება)

როდესაც თქვენ შეადარებთ ერთ-
მანეთს № I და IV, და II და III ნაჭ-
რების საშუალო მოსავალს, მაშინ ცხა-
დად დაინახავთ ხელოვნური სასუქების
მოქმედებასაც.

ც დ ა № 2.

ეს მეორე ცდა გიჩვენებთ თუ რა უფ-
რო ესაკიროება ზედაგს — კალი, ფოს-
ფორის სიმჟავე თუ აზოტი?

მიწას დაჰყოფთ 16 სწორ ნაჭრე-
ბად.

1	16	5	12
2	15	6	11
3	14	7	10
4	13	8	9

ნაჭრებს № 1 და 9 არ მოაყრით სასუქს.

" " 2 და 10 მოაყრით ყველა

უმთავრეს სასუქებს,

ისე როგორც ნაჩვე-

ნებია № 1 ცდაში.

" " 3 და 11 ყველას გარდა კა-
ლისა.

" " 4 და 12 ყველას გარდა ფოს-
ფორის სიმჟავესა.

" " 5 და 13 გარდა აზოტისა.

" " 6 და 14 მოაყრით მარტო
კალის.

" " 7 და 15 მოაყრით მარტო
ფოსფორის სიმჟავეს.

" " 8 და 16 მოაყრით მარტო
აზოტის.

მოსავალი № 1 და 2 რომ შეადაროთ,
ნახავთ თუ რა მოქმედება იქნიეს მო-
სავალზე ერთად ყველა უმთავრესმა სა-
სუქებმა.

№ 2 და 3 გაჩვენებთ თუ რა მნი-
შვნელობა ექმნება თქვენი მიწისათვის
ფოსფორის სიმჟავეს და აზოტს.

№ 2 და 4 — რა მნიშვნელობა ექმნე-
ბა აზოტის და კალის სასუქებს.

№ 2 და 5 — რა მნიშვნელობა ექმნე-
ბათ ფოსფორის სიმჟავეს და კალის
სასუქს.



№№ 6, 7, 8 გაჩვენებენ თუ რა გავლენას იქონიებენ მოსავალზე ცალკალკე კალი, ფოსფორის სიმჟავე და აზოტი.

ვინემ საცდელი მინდვრის გამართვას შეუდებოდეთ, პირველად საჭიროა დარწმუნდეთ კირი იმყოფება თუ არა თქვენ ზეადაგში. ამისათის კმარა აიღოთ ცოტაოდენი მიწა და ზედ ცხარე ძმარი დასხათ, თუ მიწამ შიშინი დარწყო, ეს იმას გაჩვენებთ, რომ კირი ყოფილა მიწაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქმნება მიკმართოთ რომელიმე ქიმიურ ლაბორატორიას: თუ ქიმიურმა ანალიზმა $0,2$ ან $0,3\%$ კირი აღმოაჩინა კმარა, თუ არა და თქვენ იძულებული იქმნებით კირი მთავაროთ მიწას, ისე როგორც ზევით მოვიხსენიეთ.

ამნაირად როდესაც საცდელ მინდორს რიგიანად მოაწყობთ, მაშინ შეგეძლებათ ყოველ თქვენ კითხვაზე სწორე პასუხი გაიგოთ.

ცდა № 1.

როცა გინდათ გაიგოთ შეიძლება თუ არა ხელოვნური სასუქების დახმარებით კრები მოსავალი მიიღოთ რომელიმე ნაჭერ მიწაზე, უნდა ჯერ სცადოთ მიწა—აიღოთ 60 კვ.-საჟენი და გაჰყოთ ოთხ თანასწორ ნაჭრად.

ნაჭერი I	ნაჭერი III
ნაჭერი II	ნაჭერი IV

ნაჭრებს № I და IV სასუქს არ მოყრით.

II და III შეახმარებთ სათითაოდ ყველა უმთავრეს სასუქებს ასე:

თუ მძიმე მიწაა:

ს.-ფოსფატი $(13 - 14\%)$.. 24 გირვ.

30% კალის მარილი.... 6 „
გვარჯილა 5 „

თუ მსუბუქია:
ტომასშლაკი $(16 - 17\%)$.. 36 გირვ.
კაინიტი 36 „
გვ რჯილა 8 „

ანუ:

ტომასშლაკი $(16 - 17\%)$.. 36 გირვ.
კაინიტი 36 „
სისხლის ფქვილი 10 „

ცდა № 3.

ეს მესამე ცდა გიჩვენებთ თუ რა წონით უნდა შევახმაროთ ხელოვნური სასუქები, რომ მეტნაკლები არ მოუვიდეს მიწას?

ადგილი უნდა დაიყოს 8 თანასწორ ნაჭრათ და გააპატიოთ ასე:

თუ მძიმე მიწაა:

№ 1 და 5 სასუქს არ მოაყრით.	
„ 2 – 6 მისცემთ სუპერფოსფატს $(13 - 14\%)$.. 30 გირ.	
კალის 30% 10 „	
გვარჯილას 10 „	
„ 3 და 7 ს.-ფოს. $(13 - 14\%)$.. 24 „	
კალის 30% 6 „	
გვარჯილას 5 „	
„ 4 და 8 ს.-ფოს. $(13 - 14\%)$ 15 „	
კალის 30% 4 „	
გვარჯილას 3 „	

თუ სუბტექი მიწაა მაშინ:

№ 1 – 5 სასუქს არ მოაყრით.	
„ 2 – 6 ტომასშ. $(16 - 17\%)$ 36 გირ.	
კაინიტს 36 „	
გვარჯილას 16 „	
„ 3 – 7 ტომას. $(16 - 17\%)$ 28 „	
კაინიტს 28 „	
გვარჯილას 5 „	
„ 4 – 8 ტომას. $(16 - 17\%)$ 24 „	
კაინიტს 24 „	
გვარჯილას 3 „	

ამ ცდაში როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში თქვენ შეგიძლიანთ 30 % კალის მარილის მაგივრათ ახ-მაროთ 40 % კალის მარილი, მხოლოდ მა მინ ასე მოაყრით: № 2--6 = $7\frac{1}{2}$ გირ., 3 და $7=4\frac{1}{2}$ გირ., 4 და $8=3$ გირ.

ცდა № 4

ეს მეოთხე ცდა გიჩვენებთ თუ რა და რა გვარი ფოსტორის სისუჟავის ანუ კა-ლის სასუქები უფრო სასარგებლო იქ-ნება მიწისათვის?

ამისათვის ადგილს გაჰყოფთ 10 ნაჭ-რათ:

ნაჭრებს № 1—6 სასუქს არ მოაყ-რით.

„2—4 სუპერფოს-

ფატს 13—14%... 24 გირ. *)

კალის 30%..... 6 „

გვარჯილას..... 5 „

3—8 ს.-ფოს 13—14%.. 24	„
კანიტს	15 „
გვარჯილას	5 „
4—9 ტომას. 15—17%.. 24	„
კალის მარ. 30 %. 6	„
გვარჯილა..... 5	„
5—10 ტომას 16—17% . 24	„
კანიტი..... 15	„
გვარჯილას	5 „
თუ საცდელ მინდორზედ კართო-ფილი გაქვთ დათესილი, მაშინ ყველა შემთხვევაში კანიტის მაგივრ უმჯო-ბებია 30%—40% კალის მარილი ახ-მაროთ. თუ ქერია ანუ ჭარხალი, მა-შინ ამათოვის კანიტი იხმარება, რად-გან კანიტი უფრო უკეთ მოქმე-დობს ქერზედ და ჭარხალზედ, ვიდრე 30%—40% კალის მარილები.	

სასუჟები.	შე-სასუ-ჟების	რა	მოსავალი მისცა თი-თოვეულმა ნაჭრმა.	სხვადასხვა			
				ფუთ.	გრ.	ფუთ.	გრ.
სასუჟები სა-რამდე-ნი მისა-სუჟე-ბის.	სასუჟები სა-რამდე-ნი მისა-სუჟე-ბის.						
სასუჟები სა-რამდე-ნი მისა-სუჟე-ბის.	სასუჟები სა-რამდე-ნი მისა-სუჟე-ბის.						

გ. ნახუცრიშვილი

მონილია სოცე

ეს სენი თითქმის ყველგან არის გავრ-ცელებული. მონილიათი ხდება ავად ვაშლი, კომში, ქლიავი, ბალი, ალუ-ბალი. დაავადებული ნაყოფი აღარ იზრდება, ლპება და გარედგან თეთრი იბივით სოკო ეკიდება. ასეთი ნაყო-

*) ამ ცდაში 30 % კალის მარილის მაგივრ შეგიძლება ახმაროთ 40 % კალის მარილი, მხო-ლოდ თითო ნაჭრი არა უმეტეს $4\frac{1}{2}$ გირვან-ქისა.

ფი ან ცვივა ძირს ან ხება და შეორე გაზაფხულამდე რჩება ხეზე. გაზაფ-ხულზე სოკოს მტვერი იშლება და სენი სხვა ხეებზედაც გადადის. მონი-ლია უფრო ნოტიო ადგილებში იკი-დებს ფეხს. ალუბალი თითქმის მთელ ჭართლშია ავად ამ სენით. გაზაფხულ-ზე, როდესაც ალუბალი უაიყვავილებს და ნაყოფს გამოისახავს, ნორჩი ტო-ტები ყვავილით და ნაყოფით ჯერ ჭერ-

ბა, თითქოს ყინვას მოუწვევსა, მერე ყვითლდება და ხმება. ასევე ემართება ბალს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ღონიერია ალუბალზე.

ბევრნი შეცდომით ყინვას აბრალებენ ამ მოვლენას, მაგრამ სცდებიან. შარშან, 1909 წ. 11 აპრილს დათრთვილა, ალუბლის ყვავილი გაუშლელი იყო და ამ თრთვილმა ვერაფერი ავნო ვერც ალუბალს და ვერც ქლიავსა და ბალსა, რომლის ყვავილიც ზოგი გაშლილი იყო, ზოგიც გაუშლელი. 11 აპრილის შემდეგ თრთვილი აღარა ყოფილა, ალუბალი გაიშალა, ნაყოფიც გამოისახა, ზოგი ქინძისთავის ოდენიც გახდა და აპრილის ბოლო რიცხვებში უცებ გაყვითლდა, გაჭინა და გახმა. ამასთან ის ხეები, რომლებსაც წამალი მოხვდათ, უვნებლად გადარჩნენ, კარგად მოისხეს და ნაყოფიც დამტიცდა. მაშასალამე იქ ყინვა არაფერ შუაში იყო. აშკარადა სხანდა, რომ ზარალი მონლი სოკოს ბრალი იყო.

წამლობა შემდეგია: ვაშლს, ქლიავს, კომშს და ატამს შაბიამანი უნდა შეასხუროთ წელიწადში სამჯერ: შემოდგომით, როდესაც ფოთოლი გასცვივა; აღრე გაზაფხულზე, როდესაც კვირტი გამოიბრება და მესამეთ, როდესაც ვაშლის ნაყოფი კაკლის ოდენა გახდება. ბალსა და ალუბალს შემოდგომაზე

ხმელი ტოტები მთლად უნდა შეეჭრას დანით ან მაკრატლით და დაიწვას. შემდეგ ეწამლოს. წამალი ასე მზადდება: ერთ ვედრა წყალში ერთი გირვანქა შაბიამანი გაიხსნება და მერე ნახევარი გირვანქა კირი მიემატება. კირი ახალი დამწვარი უნდა იყოს. ქვაკირი ცალკე დაიშლება, გაიცრება და წყალში გაიხსნება; შემდეგ კირწყალი შაბიამნიან წყალს უნდა დაესხას ცოტცოტა და თან შაბიამანს ჯოხით დაერიოს. წამალი უნდა გაკეთდეს ხის ან თიხის ჭურჭელში და ვერმორელის ან სხვა აპპარატით ესხუროს ხეებს. ხის ძირები და დაბალი მომსხო ტოტები უმჯობესია ჩოთქით ან ჯოხზე დახვეული ტილოთი შეიღესოს იმავე წამლით, მხოლოდ ამ შემთხვევაში კირი მეტი მიეცემა, ასე ერთ ვედრა წყალს ერთი ან ორი გირვანქა კირი. რომ წამალი უფრო კარგად დაადგეს ხეებს, უმჯობესია ერთი მერვედი გირვანქა შაქარი მიემატოს წამალს.

ეს წამალი ხის ხავსა და ობსაც კარგადა სპობს.

მესამე შესხურების დროს, როდესაც ხე მთლად შეფოთლილია, შაბიამანი ნაკლები უნდა მიეცეს, ასე ვედრა წყალს ნახევარი გირვანქა შაბიამანიდა 3/8 გირვანქა კირი.

გ. თაქთაქიშვილი

ე ბ ა - ე ს რ ა

(ჟურის პიროვნეული გადახრე კირკვლების ანომალი)

ყურის ძირთან, ყბის ქვეშ, ენისქვეშ და ლოყებზედ ცხოველს ეგრედწოდებული სანერწყვე ჯირკვლები აქვს. ასეთი სახელი ამ ჯირკვლებს იმიტომა

აქვთ, რომ აქა მზადდება ნერწყვი, რომელიც პატარა მილების საშუალებით გროვდება პირში. ნერწყვის ჯირკვლებისა და პირში მოფენილი ლორწოიანი კანის წყალობით რომელიც ეგრეთვე ნერწყვს ამზადებს, პირი ნია-

დაგ სველია. ამ ჯირკვლებში უფრო მსხვილი და ავადმყოფობის დროს მეტი ტკივილების გამომწვევი ყურის ძირთან მდებარე ჯირკლები არიან და ყურადღებაც მომეტებულად ამათ უნდა მივაჭროთ. ეს ჯირკვლები ხშირად ხდებიან ავად ანთებით, რომელიც უფრო სხვა ავადმყოფობით გამოიწვევა ხოლმე (მაგ. პირის, საყლაპავის და ყელის ანთება შეიძლება ჯირკვლებზედაც გავრცელდეს). გამოიწვევენ ყბა-ყურას აგრედვე ზოგი გადამდები ავათმყოფობანიც როგორც მაგალითად: ციმბირის ჭირი, ძალის ჭირი და სხვა.

ზოგჯერ კი ყბა-ყურას სრულებით არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სხვა ავადმყოფობასთან.

ყბა-ყურა გადამდები ავადმყოფობაა. ერთი ავადმყოფიდან შეიძლება მთელ ჯოგს, ნანირს მოედოს. ამბობენ, ყბა-ყურა ადამიანისაგანაც გადაედება ცხოველსათ. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შესძლებელია, რომ ცხოველებისაგან ადამიანზე გადავიდეს. ყბა-ყურა უმეტესად ახალგაზრდა ცხოველებს ხდება, თუმცა მოზრდილებიც ხდებიან, ამით ავად.

ყბა-ყურას გამომწვევი მიზეზი მიკრობებია, პატარა, წვნიკი ცხოველები, რომელთ დანახვა შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული თვალით (მიკროსკოპით). ეს მიკრობები შეუძრებიან ცხოველს ყურის ძირთან მდებარე ჯირკლებში, ბინავდებიან აქ და საზრდოობენ. რა გზით ჩნდებიან ეს მიკრობები ამ ჯირკვლებში, ჯერ გამოკვლეული არ არის, ხოლო შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ისინი შეცოცდებიან ხოლმე ჯირკლებში იმ მილებით; რომლებითაც ნერწყვი გამოდის პირში.

თავდაპირველად ავადმყოფობა იწყობა ჯირკვლების უბრალო დასიებით და სიცხის მიცემით. მერე სიმსიცნე თანდათან მატულობს, იზრდება და ცრცელდება მთელი ყბის ქვეშ. ხან ყბის ქვეშ მდებარე ჯირკვლებიც სივდებიან. გარეთა კანი ძალზედ იჭიმება, ცხოველი გამოშტრერებული სდგას, კისერი სტკივა, ველარ ანძრევს და გაშეშებულივით აქვს.

ხშირად ამ ავადმყოფობის დროს მამალ ცხოველს საზარდულები უსივდება, ხოლო დედალს—ძუძუები. ცხოველს სიარული ეძნელება, დადის გალაჯული, მადა ეკარგება, სუსტდება, სიცხე მომატებული აქვს.

ავადმყოფობა ახალგაზრდა ცხოველებს უფრო აღვილად გაუვლის ხოლმე, ხოლო ხნოვანი ცხოველი კი ამ სატკივრის დროს ზოგჯერ დიდ ტანჯვაშია, ხან მთლად იკოდება, ისე რომ გამრავლების უნარს სრულიად ჰკარგავს. როცა ჯირკვლებზედ სიმსიცნე იწყებს დაცხრომას, საზარდულებზედაც ან ძუძუებზედაც ცხრება, ასე რომ სიმსიცნე ყველგან ერთ დროს იკარგება და ცხოველი რჩება.

ექიმობა. ავადმყოფობის დასაშუალები ქაფურის მაღამო ან ვერცხლის წყლის ნაცრის ფერი მაღამო ცალ-ცალკე ან ერთიმეორები თანაბრად არეული რომ წალსვათ ჯირკვლებზე და მერე კისერზე თბილი რამე შემოაფინოთ, საკმარისია. (ამ მაღამოს მაგივრად შეიძლება იოდის ტინქტურა იხმაროთ, ან ქაფურის ზეთი, ან იოდიანი კალის მაღამო, ან ნავთი).

შეგვიძლიან ამ საშუალებების მაგიერ ვიხმაროთ კომპრესი. *)

*) კომპრესის გაყეთება იზილე ჩემ წერილში, „მოსავალი“, № 3.



თუ სიმსივნე არ დაცხრა, მაშინ ვიხართ თბილ სადებლეს, რომელსაც გავუკეთებთ ასე: რამოდენჯერმე მოკეცილ ტილოს, ან ბამბას, ან დაჩეჩილ კანაფს დავასველებთ თბილ წყალში (რომელიც იქნება ადამიანის სხეულზე დაუფრო თბილი), გავწურავთ ცოტათი და შემოვაფენთ გასიებულ ადგილს.

თბილ სადებლებს კიდევ სხვანაირადაც: სელის თესლს ან ქატოს, დაასხამენ მდუღარე წყალს, მოფაფავნენ სქლად და წაუსმენ სქლად მჩვარზედ, ზევიდან კიდევ მჩვარს დააფენენ და მერმე შემოადებენ გასიებულ ადგილს და შეუხვევენ.

ამ თბილი სადებლებით სიმსივნე ან დამწიფდება, ან დაცხრება.

დამწიფებულმა სიმსივნემ თუ დიდხენობამდის თავი არ გაიკეთა, შეიძლება გავურათ, ხოლო ძლიერ დიდი სიფრთხილე კი გვმართებს: ამ აღგილებში, მხევილი სისხლის მიღები და ნერვები აქვს ცხოველს, რომელთ გადაჭრით ცხოველი დასახიჩრდება. ამიტომ უმჯობესია საქმე ბუნებას მივანდოთ, განვაგრძოთ კიდევ თბილი სადებლების ხმარება და მოვუკადოთ როცა თვითონ გამოირწყვება. იარა უნდა მოვგანოთ ხოლმე კარბოლიანი წყლით (12 წვეთი I ჩაის სტაქან წყალში) ან კრეოლიანი წყლით (I ჩაის კოვზი ჰბოთლ წყალში).

გრ. ცხადაძე.

საყურადღებო ცნობები

ადრეულა კართოფილი. ადრეულა კართოფილი როცა პირველად ჩნდება ბაზარში გირვანქა 20—25 კაბ. ლირს. ჩვეულებრივა კართოფილი კი შემოდგომაზე $1\frac{1}{2}$ —2 კ. იყიდება გირვანქა და გაზაფხულზე 3 კაპეკათ.

ამ ფასებიდან აშეარად სხანს რამდენად სასარგებლო უნდა იყოს ადრეულა კართოვილის მოყვანა.

ადრეულა კართოფილი რამდენიმე ჯიშია: „ექსი კეირის“ ინუ „თხილა“ კართოფილი, რომელიც შემოდის ექსი კეირის ‚განმავლობაში, ბერძნული თხილის ოდენაა და ტიოლისში მაისშივე ჩნდება ბაზარში. ეს ჯიში ყველაზე ადრეულაც არის, გეროც მშვენიერი აქვს, მაგრამ სამწუხაოდ მოსავალი ცოტა იყის.

„თხილა“ კართოფილზე უფრო ადრე შემოდიან: „ციტაური“, „მარგალიტა“, „მკათხველა“ და „მოწითალო“. ამათში პირველი სამი ჯიში კარგი გემოსიც არიან, მოსავალიც კარგი იყიან, ხოლო სიკიფისა ძალიან ეშინიანთ. „მოწითალო“ კი სიცივესაც კარგი იტანს, მოსავალიც უხვი იყის, მხოლოდ გემოთი ზემოღნიშნულ ჯიშებს ჩამოუჩება. სათესლეთ ადრეულა კართოფილს შემოდგომითვე გადაარჩევენ და ინახვენ ბეჭელ სარდაფში მაღლა ფიცირებზე გაფენილს, როგორც ხილს გაფენავნენ ხოლმე შესანახათ. შემდეგ ინგრის პირველ ნახევარში ჩაწყობენ ამ კართოფილს ყუთებში ან

კალათებში ისე რომ, როცა კართოფილი გაღვივდება, ლვივი ზევით იყურებოდეს. ამნაირად ჩაწყობილს კალათაში კართოფილს დააყრიან ზემოდან ხის ნახერს ან კომპოსტს ჯა დასდგამენ კალთებს საღმე გრილ ადგილში რომ სინათლე სკდებოდეს. 4—6 კვირამდე კართოფილი გაღვივდება კალათებში და თებერვლის ან მარტის დამდეგს გადაირგვება ნიადაგში ყუდრო ადგილზე. ნიადაგი, რასაკვირველია, კარგა უნდა იყოს გაბატივებული.

კართოფილი ღრმად არ უნდა ჩიორგს. წაყრილი ზემოდან მიწა უნდა იმდენი იყოს მხოლოდ, რომ შიგ გაშლილმა ფესვებმა ამოსული ყლორტები მცენარისა დაიმაგრონ. კართოფილი გადარგვის შემდეგ გასაკვირვლად მალე ამოიყრის ხოლმე ახალ ყლორტებსა და ფოთლებს.

როცა ყლორტები დაიზრდებიან ერთი გოზის სიმაღლე, მცენარეს უნდა მიწა შემოეკიცოს. შემოკიცებული მიწა იფარავს ნორჩყლორტებს სიცივისაგან. თუ ყინვებია მოსალლოდნელი, უნდა მცენარეს ყლორტები მთლად ჩაემალოს წაკიცებულ მიწაში. კართოფილს ყლორტები და ფოთლები მთლად დაეფარება ზემოდან მიწით მაგრამ ამით მცენარეს არა უშავს რა, თუ მეტადრე ამ მიწას ისევ გადახდით, როცა მოთხება და ყინვების შიში აღარ იქნება.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე.